პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 24 მარტი, 1944 წ. № 61 (7005). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 22 მარტს, ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი პერვომაისკი — რკინიგზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი იუჟნი ბუგის შუაწელზე.

ქალაქ პერვომაისკის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ შადოვის, გენერალ-პოლკოვნიკ შუმილოვის, გენერალ-ლეიტენანტ რომანოვსკის, გენერალ-მაიორ ლებედენკოს, გენერალ-მაიორ აკიმენკოს, გენერალ-მაიორ მოროზოვის, გენერალ-მაიორ ბაკლანოვის, გენერალ-მაიორ ლილენკოვის ჯარებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ პოლუეექტოვის არტილერისტებმა და სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კატკოვის ტანკისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ პერვომაისკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პერვომაისკის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი პერვომაისკი.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ პერვომაისკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 მარტი.

ბაშკირეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს
ბაშკირეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქ. კ. პ. (ბ) ბაშკირეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ბაშკირეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 25 წლისთავის დღეს ძმურ სალამს უძღვნიან ბაშკირეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და წითელი არმიის მეომარ ბაშკირებს.

მეოთხედი საუკუნის წინათ ბაშკირეთის მშრომელებმა დიდ რუს ხალხთან ერთად ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს ბაშკირი ხალხის მჩაგვრელების — ბაების, თარხანების, მევახშეების, მეფის მოხელეების ძალაუფლება და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. წითელ არმიასთან ხელიხელჩაკიდებულმა ბაშკირმა ხალხმა გაანადგურა კოლჩაკელ-თეთრგვარდიელთა და უცხოელ დამშთნებელთა ბანდები და სამუდამოდ გასწმინდა მშობლიური მიწა-წყალი დამპყრობლებისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ბაშკირეთში ახლად აშენდა და ხელახლა რეკონსტრუირებულ იქნა ათობით სამრეწველო საწარმო, შეიქმნა ნავთის მძლავრი ინდუსტრია, ფართოდ გაჩაღდა რესპუბლიკის მდიდარი წიაღის დამუშავება. რესპუბლიკაში შექმნილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ათასობით ტრაქტორითა და კომბაინით აღჭურვილი. აღიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრები. გაიფურჩქნა და მაღალ დონეს მიაღწია ბაშკირულმა კულტურამ — ფორმით ნაციონალურმა, შინაარსით სოციალისტურმა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სამამულო ომის დღეებში ბაშკირმა ხალხმა ცხადჰყო სამშობლოს წინაშე თავისი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნება. ბაშკირეთის შვილებმა—წითელი არმიის მეომრებმა სამშობლოსათვის ბრძოლებში გამოიჩინეს ბაშკირი ხალხის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების შესაფერი გულადობა და მამაცობა. ბაშკირეთის მშრომელნი თავდადებულად მუშაობენ ფრონტის დასახმარებლად.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ ბაშკირი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად შეასრულებს თავის ვალს საბჭოთა სამშობლოს წინაშე და მთელ თავის ღონისძიებებს წარმართავს საძულველი მტრის უსწრაფესი განადგურებისა და გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან ჩვენი სამშობლოს სრული განთავისუფლების საქმისათვის.

გაუმარჯოს ბაშკირეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო — **საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ მეცნიერ მუშაკთათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მეცნიერების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭოთ:

1. **აბელს ედუარდ იაკობის-ძეს** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო ფარმაკოლოგიურ-ქიმიური ინსტიტუტის პროფესორს.
2. **ბუაჩიძეს პეტრე გრიგოლის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
3. **გოგიჩაიშვილს ფილიპე გაბრიელის-ძეს** — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
4. **გოკიელს ლევან პეტრეს-ძეს** — მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
5. **გულისაშვილს არჩილ ალექსის-ძეს**— კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
6. **დანელიას სერგი იოსების-ძეს** — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
7. **ვარაზს ვასილ სოფრომის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
8. **ვაწაძეს გიორგი სპირიდონის-ძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
9. **ზაქარაიას ეფრემ ფარნაოზის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
10. **კაკაბაძეს ვასილ მიხეილის-ძეს** — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
11. **კუპრაძეს ვიქტორ დიმიტრის-ძეს** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილის პროფესორს, კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
12. **კალანდაძეს ლეონიდე პოლიევქტის-ძეს** — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორს, ბერიას სახელობის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
13. **მაჰაგარიანს მიხეილ სპირიდონის-ძეს** — ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორს, კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
14. **მოსეშვილს იასონ პავლეს-ძეს** — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
15. **ნანეიშვილს კიმენ ვასილის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
16. **ნიკიტინს ვასილ ნიკიტას-ძეს** — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
17. **ნიორაძეს გიორგი აფანასის-ძეს** — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
18. **ნოდიას მიხეილ ზოსიმეს-ძეს**—ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
19. **როუჩინს ივანე ოსიპის-ძეს**—ბერიას სახელობის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს.
20. **საყვარელიძეს სიმონ ელიოზარის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
21. **სმირნოვს გიორგი მიხეილის-ძეს** — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
22. **სონღულაშვილს იროდიონ თომასძეს** — ხელოვნების მუზეუმის „მეტეხის“ უფროს მეცნიერ მუშაკს.
23. **სურგულაძეს იროდიონ აპოლონის-ძეს** — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
24. **ტერ-ხაჩატუროვს არტემ იაკობის-ძეს** — კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
25. **ფილატოვს სილვესტრო სიმონის-ძეს** — პროფესორს, მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ლაბორატორიის გამგეს.
26. **ქავთარაძეს პეტრე პავლეს-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
27. **ღოლოგერიძეს ბორის კონსტანტინეს-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
28. **შუშანიას პლატონ გიორგის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორს.
29. **ხარაძეს არჩილ კირილეს-ძეს** — პროფესორს, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის პროორექტორს.
30. **ხელთუფლიშვილს პლატონ ბესარიონის-ძეს** — კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პროფესორს.
31. **ჯავახიშვილს გიორგი ალექსანდრეს-ძეს** — გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
1944 წ. 21 მარტი. ქალ. თბილისი.

ხელმოწერილია შეთანხმება სსრ კავშირსა და კანადას შორის კანადის მიერ საბჭოთა კავშირისათვის საომარი მასალის მიწოდების შესახებ, თანახმად კანადის 1943 წლის კანონისა ურთიერთდახმარების შესახებ

1944 წლის 11 თებერვალს ოტავაში (კანადა) ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და კანადის მთავრობას შორის იმ პრინციპებზე, რომლებიც შეეხება კანადის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის საომარი მასალის მიწოდებას, თანახმად კანადის 1943 წლის კანონისა სამხედრო ასიგნობათა შესახებ (გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ).

სსრ კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ვ. ა. სერგეევმა და სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა კანადაში გ. ი. ტუნკინმა, კანადის მთავრობის სახელით—პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა მაკენზი კინგმა და შეიარაღებისა და მომარაგების მინისტრმა ბ-ნმა ჯ. დ. ჰაუმ.

შეთანხმებას საფუძვლად დაედო იმ დახმარების ურთიერთ ხელსაყრელობის პრინციპი, რასაც ერთი-მეორეს უწევს ორივე ქვეყანა.

შეთანხმებაში ჩაწერილია ზოგიერთი დებულება და პრინციპი, რომელთა ძალითაც მოლაპარაკების მწარმოებელმა მხარეებმა ვალდებულება იკისრეს დახმარება გაუწიონ ერთმანეთს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეთანხმება მოქმედებაში შევიდა მისი ხელმოწერის დღიდან და უკუქცევითი ძალა აქვს იმ მასალის მიმართ, რაც კანადამ მიაწოდა საბჭოთა კავშირს ამ შეთანხმების დადებამდე გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ კანადის 1943 წლის კანონის საფუძველზე.

ქვემოთ ქვეყნდება შეთანხმების ტექსტი.

შეთანხმება
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და კანადის მთავრობას შორის იმ პრინციპებზე, რომლებიც ეხება კანადის მიერ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის საომარი მასალის მიწოდებას, თანახმად კანადის 1943 წლის კანონისა სამხედრო ასიგნობათა შესახებ (გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ)

მიიღეს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და კანადა ამ ომში გაერთიანებულნი არიან, და

მიიღეს რა მხედველობაში სასურველობა იმისი, რათა საომარი მასალის მიწოდება ნაწილდებოდეს გაერთიანებულ ერთა შორის ომის სტრატეგიულ მოთხოვნილებათა შესაბამისად და ამრიგად, რათა, რაც შეიძლება უფრო ეფექტიანად შეეწყოს ხელი გამარჯვების მოპოვებასა და მშვიდობიანობის დამყარებას, და

მიიღეს რა მხედველობაში მიზანშეწონილობა იმისი, რათა პირობები, რომელთა საფუძველზეც საომარ მასალას ასეთი წესით აწოდებს ერთ-ერთი გაერთიანებული ერი მეორეს, ტვირთად არ აწვებოდეს ომისშემდგომ ვაჭრობას, ან არ იწვევდეს ვაჭრობის შეზღუდვის შემოღებას, ან სხვა რაიმე სახით ზიანს არ აყენებდეს სამართლიან და ხანგრძლივ მშვიდობიანობას, და

მიიღეს რა მხედველობაში, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კანადის მთავრობებს აქვთ ურთიერთ სურვილი დასდონ შეთანხმება იმ პირობებზე, რომელთა საფუძველზეც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს კანადა მიაწოდებს საომარ მასალებს,

ქვემოთ ხელისმომწერნი, ამ მიზნისათვის შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადოდ უფლებამოსილნი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

თანახმად კანადის 1943 წლის კანონისა სამხედრო ასიგნობათა შესახებ (გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ), კანადის მთავრობა მიაწოდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას ისეთ საომარ მასალას, რომლის მიწოდებასაც კანადის მთავრობა ხანგამოშვებით ნებას დართავს.

მუხლი 2.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა განაგრძობს კანადის დაცვისათვის ხელისშეწყობას და მის განმტკიცებას და მიაწოდებს ისეთ საგნებს, აღმოუჩენს მომსახურებას, შეღავათებს ან მიაწოდებს ინფორმაციას, რომელთა მიწოდების შესაძლებლობაც მას ექნება და რომლებიც დროგამოშვებით განისაზღვრებიან თანახმად შეთანხმებისა ომის ამბებია განვითარების მსვლელობის მიხედვით.

მუხლი 3.

იმ საომარი მასალის მიწოდების ხასიათი, რაოდენობა და ვადები, რასაც კანადის მთავრობა აწოდებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, 1-ლი მუხლის თანახმად, განსაზღვრული იქნება ორ მთავრობას შორის მოლაპარაკების საშუალებით და აღინიშნება ოქმებში ან სხვა შეთანხმებებში.

მუხლი 4.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანახმაა გამოიყენოს ამ შეთანხმების შესაბამისად მიწოდებული ყოველგვარი საომარი მასალა ომის ერთობლივი და ეფექტიანი წარმოების საქმეში.

მუხლი 5.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა კანადის მთავრობასთან შეუთანხმებლად არ მიჰყიდის არავითარ სხვა მთავრობას ან პირთ სხვა ქვეყნებში იმ საომარ მასალას, რასაც მას მიაწოდებენ ამ შეთანხმების მიხედვით.

მუხლი 6.

კანადის მთავრობა არ მოითხოვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისაგან დაუბრუნოს კანადის მთავრობას რაიმე საომარი მასალა, რაც გადაცემულია ამ შეთანხმების მიხედვით, გარდა იმ მასალისა, რაც სპეციალურად აღნიშნულია მე-7 მუხლში და იქვემდებარება რომელიმე საგანგებო შეთანხმებას, რომელიც შეიძლება დადებულ იქნას მე-8 მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებში.

მუხლი 7.

ომის რომელიმე ძირითად ასპარეზზე საომარი მოქმედების შეწყვეტისთანავე, ყოველგვარი საომარი მასალა, რომელიც გადაცემულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისათვის ამ შეთანხმების მიხედვით და რომელიც ჯერ კიდევ კანადაში იმყოფება, კვლავ გადავა კანადის საკუთრებაში, იმ მასალის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია ომის იმ ასპარეზისათვის, სადაც საომარი მოქმედება არ შეწყვეტილა, ან იმ მასალის გამოკლებით, რაც გათვალისწინებულია დახმარების გასაწევად, ან სხვა ისეთი მასალის გამოკლებით, რომელიც შეიძლება განსაზღვრულ იქნას კანადის მთავრობის მიერ.

მუხლი 8.

კანადის მთავრობა უფლებას იტოვებს ითხოვოს:

ა) საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ომის ყოველ ასპარეზზე გადაცემა, დახმარებისა ან აღდგენის მიზნით, ამ შეთანხმების მიხედვით მიწოდებული თვითმძრავი საშუალებებისა სხვა რომელიმე გაერთიანებული ერებისა ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციისათვის,

ბ) კანადის შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც კანადის საზღვრებს გარეთ იმყოფებიან, საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ გადაცემა სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებებისა, თვითმფრინავებისა და შეიარაღების ან სამხედრო აღჭურვილობის საგნებისა, რაც მიწოდებულ იქნა ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისათვის, თუკი ასეთი საომარი მასალა დასჭირდება გამოსაყენებლად კანადის ამ შეიარაღებულ ძალებს და არ დასჭირდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საომარი ოპერაციებისათვის,

გ) ომის შემდეგ დაუბრუნდეს კანადას გამოსაყენებლად ჯერ კიდევ ვარგისი თვითმფრინავები და თვითმძრავი საშუალებანი, რაც მიწოდებულია ამ შეთანხმების მიხედვით, თუკი ისინი დასჭირდებათ კანადაში კანადის მიზნებისათვის, — ამასთან მხედველობაში იქნება მიღებული აღნიშნული საგნების შესაძლო ნახმარობის ხარისხი,—იმ პირობით, რომ იმ შემთხვევაში, როცა კანადის ასეთი მოწყობილობის იდენტურობა არ შეიძლება დადგენილ იქნას საერთო ფონდში მისი ჩარიცხვის შედეგად, ან სხვა მიზეზებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას შეუძლია შესცვალოს იგი მსგავსი ტიპის სხვა მოწყობილობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა თანახმაა გააკეთოს ყველაფერი, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა დააკმაყოფილოს ყოველგვარი მსგავსი თხოვნა ისეთი გონივრული პირობების საფუძველზე, რაც დადგენილ იქნება კანადის მთავრობასთან კონსულტაციის მიხედვით.

მუხლი 9.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კანადის მთავრობანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ თავიანთ სურვილს განავითარონ ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა მათს ქვეყნებს შორის და მთელ მსოფლიოში. ისინი აცხადებენ, რომ მათი ხელმძღვანელი მიზნები შეიცავენ იმ ზომების მიღებას, რომლებიც მიმართული იქნება სამუშაოთი მოსახლეობის უზრუნველყოფისაკენ, საქონლის წარმოებისა და მოხმარების გაფართოებისაკენ და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელის შეწყობისაკენ. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ სათანადო საერთაშორისო შეთანხმებათა გზით, რათა ხელი შეუწყონ ყველა ეკონომიური მიზნის მიღწევას, რაც მოხსენებულია 1941 წლის 14 აგვისტოს დეკლარაციაში, რომელიც ცნობილია „ატლანტის ქარტიის“ სახელწოდებით.

მუხლი 10.

ეს შეთანხმება ძალაში შედის დღეის რიცხვიდან, იგი გამოყენებულ იქნება საომარი მასალების მიწოდებისათვის, რასაც გადასცემს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას კანადის მთავრობა კანადის 1943 წლის კანონის საფუძველზე სამხედრო ასიგნობათა შესახებ (გაერთიანებულ ერთა ურთიერთდახმარების შესახებ), ან მისი შემცვლელი კანონის საფუძველზე, იმ მიწოდებათა ჩათვლით, რაც განხორციელებულია აღნიშნული კანონის მიხედვით ამ შეთანხმების დადებამდე. იგი ძალაში დარჩება იმ მომენტამდე, რაც დადგენილ იქნება შეთანხმებით ორივე მთავრობას შორის.

ოტავა, 1944 წლის 11 თებერვალი.

ხელმოწერილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მაგივრად და მისი სახელით

ვ. სერგეევი
გ. ტუნკინი

ხელმოწერილია კანადის მთავრობის მაგივრად და მისი სახელით

მაკენზი კინგი
ჯ. დ. ჰაუ

შენიშვნა (ცნობა): შეთანხმებაში მოხსენებული კანონი კანადის სამხედრო ასიგნობათა შესახებ მიღებულ იქნა კანადის პარლამენტის მიერ 1943 წლის 14 მაისს.

ეს კანონი ითვალისწინებს კანადის სამხედრო მომარაგების მიწოდებას გაერთიანებული ერებისათვის. როგორც აღნიშნული კანონის განმახორციელებელი ორგანო, შექმნილია ურთიერთდახმარების კანადის კომიტეტი ხუთი მინისტრის შემადგენლობით შეიარაღებისა და მომარაგების მინისტრის თავმჯდომარეობით.

კომიტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ომის სტრატეგიულ მოთხოვნილებათა შესაბამისად მიაწოდოს როგორც წვლილი, აწარმოოს გაცვლა-გამოცვლა, მიაწოდოს მასალა, გადასცეს მფლობელობის უფლება და არსებული სამხედრო მომარაგება გადასცეს რომელიმე გაერთიანებული ერის განკარგულებაში იმ ვარაუდით, რათა ეს მომარაგება გამოყენებულ იქნას ომის ერთობლივი და ეფექტიანი წარმოებისათვის.

შეთანხმების ტექსტში მოხსენებული საომარი მასალის მიწოდებად ამ კანონით იგულისხმება ყოველგვარი იარაღი, საომარი მასალა, თვითმფრინავები, გემები, დაზგები, მოწყობილობა, მასალა, სოფლის მეურნეობის ყოველგვარი პროდუქტი, ყოველგვარი სხვა საქონელი, მომსახურების საგნები ან სახეები და სხვა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
22 მარტის ოპერაციული ცნობიდან

22 მარტის განმავლობაში ქალაქ კრემენჩუგის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ქალაქ ვინიცის დასავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ვერბკა, ბოგნნი, ბელეცკოე, საბნი, მაიდან სოკოვინი, სტამპოვკა, ლისა გორკა, პოჩაპინეცი, ლისენკა, ლიუდოვკა, სევერინოვკა, მანკოვცი, მალჩევცი, მარტინოვკა, ვოლოდიეევი და რკინიგზის სადგურები ბარი, მიტკი, კოპა.

ქალაქ ჟმერინკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ვინიცის ოლქის რაიონული ცენტრები მუროვანიე კურილოვცი, იარიშევი.

ქალაქ მოგილიოვ-პოდოლსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს დნესტრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის გასაფართოებლად და დაიკავეს 15-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრი ნაძაშუიტა.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა 22 მარტს, ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ქალაქი პერვომაისკი — რკინიგზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი იუჟნი ბუგის შუაწელზე.

ქალაქ ბოგრინეცის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სემიონოვკა, ივანოვკა, ალექსეევკა, კონსტანტინოვკა, ბუზსკი, ალექსანდროვკა და რკინიგზის სადგურები კონსტანტინოვკა, ტრიკრატნოე, ალექსანდროვკა.

ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, შეუპოვარი შეტევითი ბრძოლების შედეგად, დაიკავეს დასახლებული პუნქტები კალინოვკა, ბოროზოვკა, ბოგოიავლენსკი, გალაბანოვკა და რკინიგზის სადგური ბოროზოვკა.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

21 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 27 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* * *

23 მარტის ოპერაციული ცნობა

23 მარტის განმავლობაში ქალაქ კრემენჩუგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრები ზალოშჩი, გლუბოჩეკ ველიკი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 20-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ამ დღეებში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა განაახლეს შეტევა ტარნოპოლ-პროსკუროვის უბანზე, გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 40-დან 60 კილომეტრამდე. შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ტარნოპოლის ოლქის რაიონული ცენტრები — ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი კოპიჩინეცი, ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური ტრემბოვლია, ბიბერკა, ბურშტინი, აგრეთვე დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბერეზოვიცა ველკა, ბიშკოვიცა; ნასტასუვი, სუშჩინი, ილავჩი, ბლეზჩავა, ივანოვკა, მშანეცი, იაბლონოვი, ხოროსტკოვი, ოსტაპკე, ტურუკა, რიპნა, სოლოდნო, ნემირინეცი, ალექსანდროვკა, ვაროვცი, გოროზოვკა, კუზმინი, ალექსინეც-პოდოლსნი, ალექსინეც-კოლნი, კადიევკა, ანდრეიკოვცი და რკინიგზის სადგურები ბერეზოვიცა-ოსტროვი, პროზოვა, ბიბრკა-სტრუსოვი, დერეინუკა, ხოროსტკოვი, ბრიმაილოვი. ჩვენი ჯარების დარტყმების შედეგად მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ვინიცის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი ლეტიჩევი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 25-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ბუცნი, გოლენიშჩევო, დუბოვაია, კურილოვცი, ლოპატენცი, რაუეკი, გოლოდკი, ჟიგალევცი, იალტუშკოვი.

ქალაქ მოგილიოვ-პოდოლსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას დნესტრის მარჯვენა ნაპირზე და დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრები — ქალაქი რიშკანოვკა, ტირნოვო, ვერტიუჟანი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ქალაქ ბაივორონის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური კოდიმა, აგრეთვე დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ბაუტანკოვო, ივაშკოვო, ვოლოვა, ფლიახოვო, რაკულოვო, იუზეფოვკა.

ნიკოლაევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგისაგან მდინარე იუჟნი ბუგის აღმოსავლეთი ნაპირის გასაწმენდად და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბოლბარაკა, რაკოვო, ნოვო-ბრიბოროვსკი, არნაუტოვკა, პესკი, ბურიევკა, კონსტანტინოვკა. ჩვენი ჯარები მიადგნენ ქალაქ ვოზნესენსკს და გააჩაღეს ბრძოლები ქალაქის განაპირა უბნებში.

**ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნ

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

კამათი საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ გაკეთებული მოხსენებების გამო

დეპუტატ ი. ვ. ჯიულენევის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია იმ დღეებში შეიკრება, როცა ჩვენი სამშობლო გადამწყვეტ გაადგილებულ ბრძოლებს ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მალე სამი წელი შესრულდება, რაც ჩვენი საბჭოთა ქვეყანა ებრძვის პირსისხლიან გერმანელ ფაშისტთა ურდოებს, რომელნიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს.

ბევრი მწუხარება და უბედურება მიაყენეს გერმანელმა ფაშისტმა მტარვალებმა ჩვენს ხალხს ომის ამ წლების განმავლობაში. მაგრამ არც გერმანელი ფაშისტი ყაჩაღები რჩებიან დაუსჯელნი. მათ იციან, რომ თავს ვერ დააღწევენ პასუხისგებას იმ საზიზღარ ბოროტმოქმედებათათვის, რასაც ისინი ჩვენს მიწა-წყალზე სჩადიან.

ახლოდება ზღვევის ჟამი. წითელი არმია, რომელიც სწმენდს ჩვენს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალს, მიდის საბჭოთა ადამიანების განსათავისუფლებლად და გერმანელი ბარბაროსების მიერ დანგრეული და ოხრებული მეურნეობის აღსადგენად.

ჯერ კიდევ 1941 წელს წითელი არმიამ მსოფლიოში ერთადერთი ძალა აღმოჩნდა, რომელმაც მოახერხა მოეწყო აქტიური თავდაცვა, სისტემისაგან დაეცალა გათავზედებულ გერმანელთა ურდოები, შეეჩერებინა ისინი, გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა მათთვის და გაეკარწყლებინა გერმანელ ფაშისტთა არმიის უძლეველობის მითი.

წითელი არმია იძულებული გახდა დაეხია ჩვენი ქვეყნის სიღრმეში. წითელ არმიას გეგმაზომიერი დახევა იმისათვის იყო საჭირო, რომ მოგვეძანცა მტერი, ძალ-ღონე მოგვეკრიფა, უპირატესობანი შეგვექმნა ჩვენთვის, ძალთა თანაფარდობა შეგვეცვალა, შემდეგ კი გაგვანადგურებინა შემომტევი ფაშისტთა ურდოები.

წითელი არმიის ამ სამანევრო გეგმის შესაბამისად ხდებოდა მრეწველობის ევაკუაცია ჩვენი ქვეყნის სიღრმეში იმ რაიონებიდან, რომლებსაც საფრთხე ემუქრებოდა. ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მრეწველობის ევაკუაცია უბრალო გადაზიდვა როდი იყო—ეს იყო საწარმოო ძალების მანევრი, ეს იმავე დროს იყო მობილიზაცია და გაერთიანება ევაკუირებულ საწარმოებისა და ჩვენი ქვეყნის სიღრმეში არსებული საწარმოებისა უზარმაზარ სამრეწველო კომბინატებად.

თანამედროვე ომის უაღრესად მძიმე პირობებში. ამ ამოცანების ბრწყინვალედ შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ ამხანაგ **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობის შეოხებით.

ამხანაგო დეპუტატებო! მთელმა მსოფლიომ იცის მოსკოვისათვის, ლენინგრადისათვის, სტალინგრადისა და კავკასიისათვის გადახდილი უდიდესი ბრძოლების ამბავი. მტერმა საბჭოთა ქვეყნის ამ გმირი ქალაქების წინააღმდეგ გამოგზავნა ჰრავალრიცხოვანი დივიზიები, სატანკო, მოტორიზებული დივიზიები, რამდენიმე ათასი თვითმფრინავი, ტანკები, ნაღმსატყორცნები და ქვემეხები.

ეს ოპერაციები გერმანელებს ომის დამთავრებად მიაჩნდათ. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადისა და კავკასიის დაპყრობის შემდეგ ისინი წამოაჩოქებდნენ საბჭოთა ხალხს და მათ მიერ ნაკორნახევ საზავო ხელშეკრულებაზე მოაწერინებდნენ ხელს.

რა ეგონთან გერმანელებს და რა გამოვიდათ? ისინი „ქადა-ნაზუქებზე" ფიქრობდნენ, „დაეცეცა და კოპები" კი მიიღეს. წითელმა არმიამ არა მარტო დაიცვა მოსკოვი, ლენინგრადი, სტალინგრადი, კავკასია, არამედ მან ისეთი დარტყმები აგება გერმანელთა ურდოებს ამ ბრძოლებში, რომელთაგან ისინი ჯერაც ვერ მოსულან გონს.

სტალინური სტრატეგიის საფუძველზე, ამხანაგ **სტალინის** პირადი ხელმძღვანელობით მოსკოვთან, ლენინგრადთან, სტალინგრადთან და კავკასიაში წარმოებული მძლავრი თავდაცვითი ოპერაციები იქცა გრანდიოზულ შეტევით ოპერაციებად, ისეთ ოპერაციებად, რომელთა გრანდიოზულობას მოწმობს გერმანელთა ურდოების უდიდესი ზარალი.

სამუდამოდ გადაეცემა საუკუნეებს ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადის, მოსკოვის, სტალინგრადისა და კავკასიისათვის წითელი არმიის უდიდესი ბრძოლების ხსოვნა.

ამ ბრძოლებში წითელი არმიის მეომრებმა უკვდავჰყვეს თავიანთი სახელი, უჭკნობი დიდებით შეამოსეს თავიანთი პოლკებისა და დივიზიების საბრძოლო დროშები. წითელი არმია, ახორციელებს რა ჰიტლერული ფაშისტური სამხედრო მანქანის განადგურებისა და საბჭოთა მიწა-წყლიდან გერმანელთა განდევნის გენიალურ სტალინურ გეგმას, ძლევამოსილად განაგრძობს თავის გმირულ შეტევას.

მტერი ცდილობდა მიეჩქმალა თავისი დამარცხება; უკანდახევას იმით ხსნიდა, რომ საჭიროა ფრონტის გამოსწორება, ფრონტის შემოკლებაო. იგი იგონებდა „ელასტიურ თავდაცვას", ცდილობდა მდ. დესნის და დნეპრის მთელი ზოლდგენით დაეშინებინა წითელი არმია. ამიტამად კი ალბად დაიწყებს მდინარე ვისლის მიუვალი ზღვრებით დაშინებას. ყოველივე ამან ვერაფერ მოატყუა და ვერც მოატყუებს.

მართალია, გერმანელები განაგრძობენ თავიანთი ფრონტის დამოკლებასა და შემცირებას, მაგრამ ეს მათზე არ არის დამოკიდებული. თავიანთ ფრონტს გერმანელები „შეამცირებენ" და „დაამოკლებენ" მომავალშიც თვით ბერლინამდე.

ამხანაგო დეპუტატებო! წითელი არმიის გამარჯვებები აღაფრთოვანებენ ოკუპირებული ქვეყნების ხალხებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გმირული იუგოსლავიის ხალხთა ბრძოლა. მათ შეჭმნეს ორასათასიანი არმია, რომელიც წარმატებით მოქმედებს ჰიტლერის და მისი მოკავშირეების საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ; ამ არმიამ საფუძველი ჩაუყარა ახალ, დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობას იუგოსლავიის იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა უღლისაგან.

წითელი არმიის მიერ სამამულო ომში მოპოვებული გამარჯვებანი მთელ მსოფლიოს უჩვენებენ საბჭოთა კავშირის ძალასა და ძლიერებას. ჩვენი სამშობლო და წითელი არმია ის მთავარი ძალა აღმოჩნდა, რომელმაც გზა გადაუღობა ფაშისტთა ურდოებს, ჩაფუშა ჰიტლერელთა გეგმები მსოფლიო ბატონობის მოპოვებისა, გამანადგურებელი დარტყმები აგება გერმანიის სამხედრო მანქანას.

დიდი საბჭოთა სახელმწიფო არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში, რასაც ცხადად მოწმობენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა მოსკოვის კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებანი და ამ დიდი მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრა თეირანში.

წითელი არმიის საუცხოო გამარჯვებათა ფონზე ბრწყინავს ჩვენი საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, უდიდესი სტრატეგისა და მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** გიგანტური ფიგურა. (ტაში).

სიამაყის გრძნობით ვმღერით ჩვენ და იმღერებს ჩვენი შთამომავლობა საბჭოთა კავშირის ჰიმნს:

„Сквозь грозы сияло нам солнце свободы,
И Ленин Великий нам путь озарил,
Нас вырастил Сталин—на верность народу,
На труд и на подвиги нас вдохновил".

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი მოკავშირე რესპუბლიკებში წითელი არმიის შემადგენელ ნაწილთა სახით საჯარისო ფორმირებათა შექმნის შესახებ შესაძლებლობას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკებს კიდევ უფრო მეტად შეუწყონ ხელი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებას.

მოკავშირე რესპუბლიკებისათვის იმის უფლებათა მინიჭება, რომ უშუალო ურთიერთობა იქონიონ უცხოეთის სახელმწიფოებთან, დასდონ მათთან შეთანხმებანი და მოახდინონ დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა, რასაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს, როგორც, ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა, „ახალი მორალურ-პოლიტიკური დარტყმა იქნება ფაშიზმისა და მისი კაცთმოძულე პოლიტიკისათვის, რომელიც მტრობით არის მთლიანად გაჟღენთილი ხალხთა თავისუფალი ნაციონალური განვითარების ინტერესებისადმი".

დიდმა სამამულო ომმა განსაკუთრებული ძალით დაადასტურა, თუ როგორ უყვარს ყველა საბჭოთა ხალხს თავისი სამშობლო. საბჭოთა ქვეყნის დაცვა ყველა საბჭოთა ხალხის შვილთა წმიდათა-წმიდა მოვალეობა, ღირსებისა და სახელის საქმე გახდა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელოვან ოჯახში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ერთ-ერთი მოწონავე ადგილი უკავია.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირს, რომელსაც ს